„დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა“
შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“
დირექტორის მიერ

Утверждено
Директором
ООО «СОКАР Джорджия Газ»

| თანამდებობრივი ინსტრუქცია | | ДОЛЖНОСТНАЯ ИНСТРУКЦИЯ | |
|---|---|---|---|
| წინამდებარე თანამდებობრივი ინსტრუქცია განსაზღვრავს თანამშრომლის ფუნქციონალურ მოვალეობებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობას.<br>თანამშრომელი ინიშნება თანამდებობაზე და თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან, მოქმედი შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, დირექტორის ბრძანებით. | | Настоящая должностная инструкция определяет функциональные обязанности, права и ответственность сотрудника.<br>Сотрудник назначается на должность и освобождается от должности в установленном действующим трудовым законодательством порядке приказом директора компании | |
| **სტრუქტურული დანაყოფი:** | სერვის-ცენტრის ექსპლუატაციის სამსახური | **Структурное подразделение:** | служба эксплуатации с/центра |
| **თანამდებობის დასახელება:** | სერვის-ცენტრის ექსპლუატაციის სამსახურის სპეციალისტი | **Наименование должности:** | Специалист службы эксплуатации с/центра |
| **უშუალოდ ექვემდებარება:** | ექსპლუატაციის სამსახურის ჯგუფის უფროსს | **Непосредственно подчиняется:** | Начальнику группы сл. эксплуатации |
| **დაქვემდებარებაში გააჩნია** | - | **Имеет в подчинении:** | - |
| **მისი არყოფნის შემთხვევაში მოვალეობებს ასრულებს:** | სხვა სპეციალისტი ან სხვა უფლებამოსილი პირი, ექსპლუატაციის სამსახურის ჯგუფის უფროსის გადაწყვეტილებით | **В период временного отсутствия обязанности выполняет:** | другой специалист или другое уполномоченное лицо по решению начальника группы. |
| **თანამდებობრივი ფუნქციები და მოვალეობები:** | | **Выполняемые функции и обязанности:** | |
| 1. ზედმიწევნით უნდა შეასრულოს ყოველი კონკრეტული სამსახურებრივი ამოცანის შესრულებასთან დაკავშირებით ჯგუფის უფროსისაგან მიღებული, როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი მითითებები.<br>2. უნდა იხელმძღვანელოს „ტექნიკური რეგლამენტით გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების შესახებ“, შრომის უსაფრთხოების ნორმებისა და საზოგადოების ტექნიკური სტანდარტებით.<br>3. დადგენილ ვადებში აბონენტების ბუნებრივი აირის აღრიცხვის ინდივიდუალური ხელსაწყოებიდან ზუსტად უნდა დააფიქსიროს მრიცხველის ანათვალი ისე, რომ ყურადღება არ მიაქციოს მრიცხველის ჩვენების წილად ნაწილს (მძიმის შემდეგ მოცემულ ციფრებს), ე.ი. არ დაამრგვალოს ჩვენება, უნდა აიღოს ანათვალი და დააფიქსიროს იგი ანდროიდის სისტემის მობილურ ტელეფონში (CAT/Samsung) ან, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ამობეჭდილ რეესტრში. ეკრძალება ანათვალის არასწორად დაფიქსირება ან/და აბონენტებთან გამიზნულად (ხარჯის გაზრდა ან შემცირება) ანათვალის არ დაფიქსირება ან ნულოვანი ხარჯის დაფიქსირება. | | 1. Неукоснительно исполнять все письменные и устные указания, полученные от начальника группы, связанные с выполнением каждой конкретной служебной задачи.<br>2. Руководствоваться «Техническим регламентом об общих требованиях к безопасности газовых систем", нормами безопасности труда и техническими стандартами компании.<br>3. В установленные сроки снимать точные показания с приборов учета абонентов, не принимая во внимание дробную часть показаний (цифры после запятой), т. е. не округлять показания счетчика, и зафиксировать их на мобильном телефоне системы Андроид (CAT/Samsung) или, в особых случаях, в распечатанном реестре. Запрещается вносить заведомо неправильные показания и/или умышленно не фиксировать показания счетчика или указывать нулевые показания (завышать или занижать расход газа) у абонентов. | |

| | |
|---|---|
| 4. სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელებისას, აღრიცხვის დროს ან/და გაზსადენის შემოვლისას ვალდებულია ყურადღება მიაქციოს აღრიცხვის კვანძისა და ბუნებრივი აირის გამანაწილებელი ქსელის (გაზსადენების) მდგომარეობას: | 4. В процессе выполнения служебных обязанностей, во время проведения учета и/или обхода газопровода, обращать внимание на состояние узлов учета и газораспределительной сети (газопроводов): |
| 4.1. იმ შემთხვევაში, თუ დარღვეულია მრიცხველის დამცავ ყუთზე (ან შეფუთვაზე) ლუქის მთლიანობა: | 4.1. в случае, если нарушена целостность пломбы на защитном ящике (или упаковке) счетчика: |
| 4.1.1. უნდა შეამოწმოს ხომ არ არის მრიცხველზე ფიზიკური ზემოქმედების კვალი, ამძვრალი ან დაზიანებული მისი ქარხნული ლუქი, ხომ არ ხმაურობს მუშაობისას მრიცხველი და/ან ხომ არ აქვს ადგილი მთვლელი მექანიზმის ე. წ. გადახტომებს, ხომ არ დგას ანათვალის მაჩვენებელი ციფრები არეულად და ჩამოთვლილთაგან რომელიმე დარღვევის არსებობის შემთხვევაში უნდა გაარკვიოს ხომ არ ჰქონოდა აბონენტს შეწყვეტილი გაზის მიწოდება. რის შემდეგაც უნდა დაურეკოს ექსპლუატაციის სამსახურის ჯგუფის უფროსს, მოახსენოს აღნიშნულის შესახებ და იმოქმედოს მისი მითითებების შესაბამისად. | 4.1.1. проверить на наличие следующих нарушений: на счетчике отмечаются следы физического воздействия, сорвана или повреждена заводская пломба, счетчик издает шум при работе и/или имеют место т. н. "проскоки" счетного механизма, цифры показаний счетчика расположены хаотично. При наличии какого-либо из вышеперечисленных нарушений сотрудник должен позвонить начальнику группы, доложить о ситуации и действовать согласно его указаниям. |
| 4.1.2. თუ ადგილი არა აქვს 4.1.1 პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე დარღვევას, უნდა დალუქოს მრიცხველის დამცავი ყუთი (ან შეფუთვა). | 4.1.2. при отсутствии каких-либо нарушений, предусмотренных пунктом 4.1.1., сотрудник должен опломбировать защитный ящик (или упаковку) счетчика. |
| 4.1.3. თავის სამოქმედო არეალში უზრუნველყოს მრიცხველის დამცავ ყუთზე ე. წ. სტიკერის დამაგრება სადაც დატანილია მომხმარებლის უნიკალური კოდი (შტრიხკოდი) აბონენტის ნომერი და მრიცხველის სერიული ნომერი, აგრეთვე სისტემატურად შეამოწმოს მომხმარებლებთან არსებული აღრიცხვის კვანძებზე არის თუ არა დატანილი სტიკერები და მისი არ არსებობის ანდა არსებულის დაზიანების შემთხვევაში შეატყობინოს, მოითხოვოს უშუალო ხელმძღვანელისგან კონკრეტულ მომხმარებლებისათვის მათი დამზადება-დაბეჭდვა, რათა შემდგომში განახორციელოს სტიკერის შესაბამის ადგილზე დამაგრება. | 4.1.3. В ареале своей служебной деятельности обеспечивает прикрепление на защитный ящик счетчика т. н. стикера, на который нанесены уникальный код потребителя (штрих-код), номер абонента и серийный номер счетчика. Также, систематически проверяет имеется ли в наличии прикрепленный стикер на узле учета абонента и, в случае его отсутствия или повреждения, сообщает об этом непосредственному руководителю и запрашивает изготовление-распечатку такого стикера для конкретного потребителя, чтобы в дальнейшем осуществить прикрепление стикера на соответствующем месте. |
| 4.2. არ არის განმხოლოებული მრიცხველში შემსვლელი და გამომსვლელი მილები (არ არის ამოჭრილი ე. წ. სარკმელი). | 4.2. не изолированы входные и выходные трубы счетчика (не вырезано т. н. "окошко"); |
| 4.3. დაზიანებულია მრიცხველის დამცავი ყუთი ან/და შეფუთვა ისე, რომ შესაძლებელია მრიცხველზე ზემოქმედება, ჩამტვრეულია მრიცხველის დამცავ ყუთზე შუშა. | 4.3. поврежден защитный ящик и/или упаковка счетчика таким образом, что это позволяет оказывать воздействие на счетчик; разбито стекло на защитном ящике; |
| 4.4. მრიცხველი დამონტაჟებულია ბინის გარეთ და არ არის ყუთში (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კომპანიისთვის ცნობილია აღნიშნულის შესახებ და ჯერ არ მიღებულა გადაწყვეტილება მათი ყუთებში ჩასმის თაობაზე). | 4.4. счетчик установлен за пределами квартиры и не помещен в ящик (за исключением случаев, когда компании известно об этом факте, но решение об установке счетчиков в защитных ящиках еще не принято); |
| 4.5. არ არის დალუქული მილყელები და მთვლელი მექანიზმი. მრიცხველის დამცავი ყუთი, ხოლო დამცავი ყუთის არ არსებობის შემთხვევაში, არ არის დალუქული ან/და დარღვეულია მრიცხველის შეფუთვა. დარღვეულია რომელიმე ლუქის მთლიანობა. | 4.5. не опломбированы патрубки и счетный механизм счетчика; не опломбирован защитный ящик счетчика, а при отсутствии защитного ящика – не опломбирована и/или повреждена упаковка; нарушена целостность какой-либо пломбы; |
| 4.6. მრიცხველის დამცავ ყუთზე ან შეფუთვაზე დადებული ლუქის ნომერი არ შეესაბამება ბილინგის ბაზაში მითითებულ ლუქის ნომერს. | 4.6. номер пломбы, наложенной на защитный ящик или упаковку счетчика, не соответствует номеру пломбы, указанному в базе биллинга; |

| | |
|---|---|
| 4.7. მრიცხველის ქარხნული ნომერი არ შეესაბამება ბილინგის ბაზაში დაფიქსირებულ ნომერს. | 4.7. заводской номер счетчика не соответствует номеру, указанному в базе биллинга; |
| 4.8. შეიმჩნევა ბუნებრივი აირის გაჟონვა (იგრძნობა „გაზის სუნი“), ან სხვა რაიმე ისეთი ფაქტი, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანებს ან გამოიწვიოს ბუნებრივი აირის გაჟონვა ან ბადებს ბუნებრივი აირის უკანონოდ მოხმარების (დატაცების) ეჭვს, მიიღოს შესაბამისი ზომები და თუ აღნიშნულის აღმოსაფხვრელად საჭირო რესურსები აღემატება მის ძალებს დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ ექსპლუატაციის სამსახურის ჯგუფის უფროსს და იმოქმედოს მიღებული მითითებების შესაბამისად. | 4.8. отмечаются признаки утечки газа (чувствуется "запах газа") или имеют место иные факты, которые могут представлять опасность для жизни и здоровья людей, или привести к утечке газа, или вызывают подозрения в незаконном потреблении (хищении) газа; работник должен незамедлительно принять меры по их устранению, а если необходимые для этого ресурсы превышают его возможности, незамедлительно уведомить начальника группы и действовать согласно его указаниям; |
| 4.9. თუ დავალიანების გამო გათიშული აბონენტი ჩართულია თვითნებურად დაუყოვნებლივ აცნობოს ამის თაობაზე ჯგუფის უფროსს და იმოქმედოს მიღებული მითითებების შესაბამისად. | 4.9. при выявлении самовольного подключения абонентов, отключенных ввиду неоплаты задолженности, незамедлительно уведомить начальника группы и действовать согласно его указаниям; |
| 4.10. ავარიის შემთხვევაში, როდესაც საფრთხე ექმნება ადამიანთა ჯანმრთელობას, ვალდებულია, ამ კონკრეტულ უბანზე, სასწრაფოდ შეწყვიტოს გაზის მიწოდება და პირველ რიგში დაუკავშირდეს მორიგე (საავარიო) ჯგუფს, შემდეგ კი ჯგუფის უფროსს და კომპანიის „ცხელ ხაზს“. ჯგუფის უფროსთან რაიმე მიზეზით ვერ დაკავშირების შემთხვევაში, უნდა დაურეკოს სერვის-ცენტრის ექსპლუატაციის სამსახურის უფროსს; | 4.10. в случае аварии, и возникновении угрозы здоровью людей, срочно прекратить подачу газа на этот конкретный участок и в первую очередь сообщить об аварии дежурной (аварийной) группе, а затем начальнику группы и на «горячую линию» компании. При невозможности связаться с начальником группы, работник должен позвонить начальнику службы эксплуатации сервис-центра; |
| 4.11. ონკანების, ურდულების, რეგულატორების თუ სხვა შეერთების წერტილებში გაჟონვის აღმოჩენისას ადგილზევე მოახდინოს მისი აღმოფხვრა და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს მათი შეცვლა. იმ შემთხვევაში თუ ითიშება ბუნებრივი აირის მიწოდება ინფორმაცია შეატყობინოს ხელმძღვანელს და შესაბამის სამსახურებს; | 4.11. при обнаружении утечки в местах установки задвижек, кранов, регуляторов и в других точках соединений, устранить неисправности на месте, а в случае необходимости, произвести замену деталей. В случае если отключается подача газа, сообщить об этом руководству и соответствующей службе |
| 4.12. შეავსოს და წარუდგინოს ჯგუფის უფროსს „ანგარიში გამოვლენილი დარღვევების შესახებ“; | 4.12. заполнить и представить начальнику группы "Отчет о выявленных нарушениях"; |
| 4.13. საჭიროების შემთხვევაში მოქალაქეს (აბონენტს) უნდა ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი გაზის მოწყობილობების უსაფრთხო გამოყენების თაობაზე; | 4.13. в случае необходимости проводить инструктаж граждан (абонентов) по безопасному использованию газового оборудования; |
| 4.14. თან იქონიოს გაზოანალიზატორი, შუასადებები, ქანჩი, ლუქები, „დეფექტური აქტები“ და „დალუქვის აქტები“; | 4.14. иметь при себе газоанализатор, прокладки, гайки, пломбы, «дефектные акты» и «акты опломбирования»; |
| 4.15. უნდა ეცვას შესაბამისი სპეცტანსაცმელი და ეკეთოს კომპანიის თანამშრომლის დამადასტურებელი ბეიჯი; | 4.15. должен быть одет в соответствующую спецодежду и иметь бадж сотрудника компании. |
| 5. ბილინგის მონაცემთა ბაზის მიხედვით არსებული დავალიანების მქონე აბონენტების დროულად ჩაჭრა და მათი კონტროლი. ბილინგის მონაცემთა ბაზის მიხედვით არსებული აღსადგენი აბონენტებისთვის გაზის მიწოდების აღდგენა დადგენილ ვადაში. | 5. Осуществлять своевременное отключение абонентов согласно данным базы биллинга имеющих непогашенную задолженность и их контроль. В установленные сроки возобновлять подачу газа абонентам, подлежащим возобновлению подачи газа согласно данным базы биллинга; |
| 6. ობიექტების ექსპლუატაციაში მიღებისას უნდა იხელმძღვანელოს „ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების წესითა“ და „ექსპლუატაციაში მიღების წესით გამანაწილებელ ქსელზე მიერთების შემთხვევაში“; | 6. При приеме в эксплуатацию объектов руководствоваться "Порядком приемки в эксплуатацию объекта" и "Порядком приемки в эксплуатацию в случае подключения к газораспределительной сети"; |
| 7. გაზსადენის შემოვლისას ვალდებულია: | 7. При обходе газопровода обязан: |

| | |
|---|---|
| 7.1. საჭიროების შემთხვევაში შეადგინოს დეფექტური აქტი და წარუდგინოს იგი ჯგუფის უფროსს;<br>7.2. შეავსოს და წარუდგინოს ჯგუფის უფროსს „შემომვლელის ანგარიში გამოვლენილი დარღვევების შესახებ“.<br>8. ექსპლუატაციის სამსახურის ჯგუფის უფროსის მიერ განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად, მონაწილეობს ჯგუფის მუშაობაში.<br>9. სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს თან უნდა იქონიოს შესაბამისი მოწმობა; | 7.1. при необходимости составить «дефектный акт» и представить его начальнику группы;<br>7.2. заполнить и представить начальнику группы Отчет обходчика о выявленных нарушениях.<br>8. Участвовать в работе группы в соответствии с графиком, установленным начальником группы службы эксплуатации.<br>9. Во время исполнения служебных обязанностей должен иметь при себе соответствующее свидетельство. |
| **პასუხისმგებლობა:** | **Обязательства** |
| სპეციალისტი დავალების შეუსრულებლობით, საქმისადმი უპასუხისმგებლო, გულგრილი დამოკიდებულებით ან განზრახ ქმედებებით გამოწვეული საზოგადოებისადმი ზარალის მიყენების შემთხვევაში, პირადად აგებს პასუხს მიყენებული ზარალის ოდენობით. იმ შემთხვევაში, როცა ცხადი ხდება, რომ ის მიზანმიმართულად მოქმედებდა კომპანიის ინტერესების საზიანოდ, განიხილება საკითხი მისი თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ; | Специалист несет личную ответственность за ущерб, причиненный компании в результате невыполнения своих обязанностей, безответственного, халатного отношения к делу или умышленных действий, в размере причиненного ущерба. Если становится очевидным, что он действовал целенаправленно вопреки интересам компании, ставится вопрос об освобождении его от занимаемой должности. |
| **უფლება აქვს:** | **Имеет право:** |
| • დააყენოს ჯგუფის უფროსის წინაშე საკითხი საჭირო მოწყობილობებით, ხელსაწყოებით, სათანადო ნაწილებით, სპეც. ტანსაცმლით დროულად უზრუნველყოფის შესახებ;<br>• უარი განაცხადოს ისეთ პირობებში სამუშაოს შესრულებაზე, სადაც დაცული არ არის შრომის უსაფრთხოების ნორმები;<br>• ავარიის შემთხვევაში დამოუკიდებლად მიიღოს სწორი გადაწყვეტილება და ზომები ლიკვიდაციისთვის ან ლოკალიზაციისთვის და აცნობოს ამის შესახებ ჯგუფის უფროსს;<br>• წარუდგინოს წინადადებები ჯგუფის უფროსს და სერვის-ცენტრის ექსპლუატაციის სამსახურის უფროსს სამუშაო პირობების გაუმჯობესებასთან და/ან საქმიანობის უკეთესად წარმართვასთან დაკავშირებით.<br>• მოითხოვოს თავისი უშუალო უფროსისაგან, შევსებული „შემომვლელის ანგარიში გამოვლენილი დარღვევების შესახებ“, ფორმის ხელმოწერით დადასტურება და გადაიღოს და თან იქონიოს დოკუმენტის ასლი. | • поставить перед начальником группы вопрос о своевременном обеспечении необходимым оборудованием, приборами, деталями и спецодеждой;<br>• отказаться выполнять работу в условиях, не обеспечивающих соблюдение норм безопасности труда;<br>• в случае аварии самостоятельно принять адекватное решение и меры по ее ликвидации или локализации, и сообщить об этом начальнику группы;<br>• представить начальнику группы или начальнику службы эксплуатации с/центра предложения касательно улучшения рабочих условий и/или лучшему выполнение деятельности;<br>• потребовать от своего непосредственного начальника заверения подписью заполненной формы "Отчет обходчика о выявленных нарушениях", переснять и иметь при себе копию этого документа; |
| **განათლება/გამოცდილება** | **Образование/Опыт:** |
| • საშუალო განათლება;<br>• სასურველია მსგავს თანამდებობაზე პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება;<br>• ქართული ენის ცოდნა; | • Среднее образование.<br>• Желательно иметь опыт работы на схожей должности.<br>• Знание грузинского языка. |
| **პიროვნული თვისებები, უნარ-ჩვევები:** | **Личностные качества, навыки, способности:** |
| უნდა იყოს პრინციპული, უკონფლიქტო, ლოგიკური აზროვნებისა და დეტალებზე ყურადღების გამახვილების უნარის მქონე ჯანმრთელი ადამიანი. | Должен быть принципиальным, неконфликтным, уметь обращать внимания на детали, физически здоровым человеком. |
| **გადაწყვეტილების მიღება:** | **Принятие решений:** |

| | |
|---|---|
| დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას მხოლოდ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. სხვა შემთხვევებში გადაწყვეტილებებს ათანხმებს უშუალო უფროსთან. | Самостоятельно принимать решение в пределах своей компетенции, по всем остальным вопросам в согласовании с непосредственным руководителем. |

თანამდებობრივ ინსტრუქციას გავეცანი:

С должностной инструкцией ознакомлен(а):